


# უმჯობესი

2020 წელი

№5

ყველამუ ბეზნილი რიცხვაცუჩა ბავშვებისათვის



# შოკოლიტ-სარჩვეი:



ღიხ-ფუნჯი  
ინმა მდარბიე

3

14

წიკმ-მიკმ <sup>1000</sup>  
წიკმ-მამ  
მარამ ნიკადუნი



ღ  
რხირკედედა  
დედა მუხეიბიე

24

26

ღ  
სადავმამ ქედიჩაია  
ვასო ბუდეუნი



30

ამიღი, ამვიჩხეთ  
თამიღიგან  
თამრი ფხავაძე



ნანიკეტი  
მასი ბელაშვილი

10



მომზაურობისთან ურთარ  
რობი მესხი

22



ქინო-მარტი  
მარი გახედაძე

18



# მონი, მოვიქცეთ თამბაქვად

თამარი მხაკაძე

შენ აღბათ კარგი ბიჭი ხარ,  
შენ აღბათ გიყვარს ლექსები,  
მოდო, ლექსებად გამოუთქვათ  
მზღლილად მოქცევის წესები.

რასაც ჰქვია ბუნება,  
შეიყვარე ყოველი:  
ხე, ბუჩქი და ბალახი,  
ფრინველი და ცხოველი.

შენც იცი, რა კარგია  
ტყე შრიალა, უღრანი,  
გინდა იყოს ფიჭვნარი,  
გინდა იყოს მუხნარი.

აღბათ, პირს არ დააღებ  
და არ გაგიკვირდება,  
თუ გეტყვი, რომ ტყეებსაც  
გაფრთხილება სჭირდება.

ტყეში ცეცხლს თუ დაანთებ, –  
რომ არ მოხდეს ხანძარი,  
ნამოსვლისას ჩააქრე,  
დარჩეს მარტო ნაცარი!

ტყეში, როგორც ველური,  
სულ ნუ გადაირევი,

არ დააფრთხო – შველია,  
ყურცქვიტა თუ ირემი!

ფულუროდან თუ გეცა  
თაფლის ტკბილი სურნელი,  
ხელს ნუ ჩაყოფ, იცოდე,  
ნუ იქნები სულელი!

თორემ გაბრაზებული  
დაგესევა ფუტკარი!  
ეს შენც დაიმახსოვრე და  
მეგობრებსაც უთხარი!


ნაბლს აგროვებ? – აგროვე!  
რამდენსაც მოერევი!  
მაგრამ სოკოს თუ ვერ ცნობ,  
მოდო, ნუ ეძგერები!

ტყეს თუ არ აწყენინებ,  
ტყე თუ გიყვარს ნამდვილად,  
კიდევ რომ დაიკარგო,  
გზას გასწავლის ადვილად!

იანუჩაძე სურს სურსადად



ლოლა პეტრეელი



# მწვანე კატის ზალოდა

– ნკრ, ნკრ, ნკრ, ნკრ, –  
ტელეფონი რეკავს.

– ალო, ალო, ვინ ბრძანდებით? –  
ყურმილს იღებს ეკა.

– მია-მიუ, – ვეუბნები, –  
მე ვარ მწვანე კატა,

ტელეფონის გვერდით ვზივარ,  
შენთვის მზეებს ვხატავ.

ლექსებსაც ვწერ შენთვის, მაგრამ,  
მიუ, მიუ, მია,

არც თევზი მაქვს, არც ყველი მაქვს  
და ძალიან მშია.

– მართლა გშია? დამელოდე,  
მოგიტანო ყველი, –

გოგო გარბის მაცივრისკენ,  
მე ვზივარ და ველი.

ჯერ ისეთი პატარაა,  
ვერც კი ხვდება ეკა,

იქ რომ არ ვარ, ტელეფონით  
იმ ყველს როგორ შევჭამ?!



# საფრთხო ბელოა

ნუნუ ჯანელიძე

საფრთხო ბელას მეძახიან,  
ფართა-ფურთს და ფართხოს,  
მაგრამ ჩემი ვილას სჯერა –  
ველარავის ვაფრთხო.

ვერ ვაშინებ ყვანჩალებს და  
ქურდბაცაცა ყვავებს,  
დღისით-მზისით, მერამდენედ  
მიძარცვავენ ყანებს.

დასიცხული უსაქმურად  
ვართავ აბლაბუდებს,  
ჩემს დახეულ ქუდში ჩიტმა  
აიშენა ბუდე.

ჩემი აღარ ეშინიათ  
ბაჭიებს და ზღარბებს,  
ვითომ ვიდგე, რომ ამ ცელქებს  
ვუამბობდე ზღაპრებს.

საფრთხო ბელა მქვია, თორემ  
რალა მე, რა ძნები,  
მხოლოდ ვნუხვარ, რომ მაცვია  
ტანსაცმელი ძველი.

მხატვარი დანი მუხაძე



# პატარა დინოზავი დინდინეო

## ნატო დავითაშვილი

ბებიებსა და ბაბუებსაც კი აღარ ახსოვდათ, ვინ და როდის მოიყვანა დინოზავრები ზოოპარკში. ზოგი იმასაც ამბობდა, ქალაქი ჯერ არ იყო გაშენებული, ისინი აქვე, გამოქვაბულში რომ ცხოვრობდნენო. ასე იყო თუ ისე, ზოოპარკში ძალიან დიდი ხნის წინათ ბინა დაიდო ორმა დინოზავრმა. ერთ მშვენიერ დღეს კი, მათ შვილიც შეეძინათ. დღე ისე არ გავიდოდა, რომ ბავშვებს მისთვის ნაირნაირი საჩუქრები არ მიეტანათ – ბურთიდან დაწყებული, საღებავი რეზინით დამთავრებული. მადლობის ნიშნად მამა დინოზავრი ბავშვებს ზურგზე შეისვამდა და ზოოპარკის ეზოში ასეირნებდა. ახალფეხადგმული დინოზავრიც ბაჯბაჯით დასდევდა უკან.

– ნელა იარე, შვილო, ნელა! – აფრთხილებდა დედა.

პატარა ბურტყუნით იმეორებდა: დინ, დინ, ნელა! დინ, დინ, ნელა! ამიტომაც, ბავშვებმა მას დინდინელა შეარქვეს. ყველასაგან განებივრებულ დინდინელას მკერდზე დიდჯიბიანი წინსაფარი ეკეთა, რომელიც მუდამ საჩუქრად მოტანილი კანფეტებითა და შოკოლადებით ჰქონდა სავსე. მთელი დღის განმავლობაში ტკბილეულს შეექცეოდა. ბოლოს ისე განუწკადა, რომ მხოლოდ მათთან თამაშობდა, ვინც სასუსნავს მოუტანდა. ბავშვები ძალიან

შეშფოთდნენ დინდინელას საქციელის გამო. „დინდინელა, ნუ ხარ ნუნკი, ასე არ შეიძლება!“ – არიგებდნენ მშობლებიც, მაგრამ პატარა დინოზავრი თავისას არ იშლიდა.

ამ ქალაქშივე ცხოვრობდა ერთი კეთილი მეზღაპრე და ბავშვების დიდი მეგობარი, ბიძია ბათუ. სწორედ მასთან მივიდნენ ბავშვები რჩევისათვის – როგორ გადაეჩვიათ დინდინელა ნუნკობისგან. ბიძია ბათუმ ყურადღებით მოისმინა პატარების გულისტკივილი და დახმარებას შეჰპირდა.

მეორე დღეს, დილიდანვე, თავისი ჯადოსნური ქოლგით, კეთილი მეზღაპრე ზოოპარკისაკენ გაემართა. დინდინელას დუმფარებიანი აუზის გვერდით შეხვდა.

– დინდინელა, მოგწონს დუმფარები? – შეეკითხა ბიძია ბათუ.

– ლამაზები არიან, მაგრამ უფრო მომეწონებოდნენ, ნაყინისა რომ ყოფილიყვნენ, – უპასუხა დინდინელამ.

– შენ რა, ასე ძალიან გიყვარს ნაყინი?

– დიახ! ნაყინიც, შოკოლადიც და საერთოდ, ყველაფერი, რაც ტკბილი და გემრიელია.

– მაშინ ჯადოსნურ ქოლგას მოგცემ. როგორც კი მის ქვეშ დადგები და ზევით აიხედავ, ტკბილეული ჩამოცვივა. თანაც, დაიმახსოვრე, ერთხელ თუ გახსენი, ვეღარ დაკეტავ, ქოლგის ქვეშაც სულ მარტო უნდა იდგე, რადგან გარედან ვერავინ შემოვა. – უთხრა ბიძია ბათუმ.

გახარებულმა დინდინელამ კეთილ მეზღაპრეს გამოართვა ქოლგა, გაშალა და ზევით აიხედა. მართლაც კანფეტებმა, შოკოლადებმა და ათასგვარმა ტკბილეულმა იწყო ცვენა. გაცეცხული და გახარებული დინდინელა გამალებით ილუკმებოდა. როცა ჭამა მოხერხდა, აქეთ-იქით მიმოიხედა. ბიძია ბათუ აღარსად ჩანდა, ზოოპარკი ბავშვებით იყო სავსე. პატარები ცხოველებთან ერთად თამაშობდნენ. დინდინელასაც მოუწინა თამაში, მაგრამ ქოლგა ვერ დახურა. მაშინ ბავშვებს დაუძახა: „მოდით აქ, ერთად ვითამაშოთ“. მაგრამ ქოლგის ქვეშ ვერავინ შეძლო შესვლა და ნუნკი დინდინელა ისევ მარტო დარჩა. დანალვლიანებულმა



ზევით აიხედა. ქოლგიდან კვლავ ჩამოიყარა კანფეტები. „სულაც არ მინდა თამაში, მთავარია ქოლგა არ დავეკარგო“, – დაიმშვიდა თავი პატარა დინოზავრმა.

შუადღისას ჯადოსნური ქოლგიდან ნაყინი ჩამოცვივდა. ვის არ ესიამოვნება სიცხეში ნაყინით პირის ჩატკბარუნება. მაგრამ დინდინელას აღარც ნაყინი უნდოდა და აღარც შოკოლადი. ერთი სული ჰქონდა, როდის გადაადგებდა ჯადოსნურ ქოლგას და როდის შეუერთდებოდა ბავშვებს, მაგრამ ქოლგა ხელზე ჰქონდა მიწებებული და ვეღარ იშორებდა. „რად მინდა ტკბილეული, თუ სულ მარტო ვიქნები, რად მინდა ჯადოსნური ქოლგა, თუ მის ქვეშ ჩემი მეგობრები ვერ შემოვლენ“, – ფიქრობდა დინდინელა. ქოლგას რომ ვერაფერი მოუხერხა, ჩამოჯდა და ტირილი დაიწყო. ბავშვები გარს შემოეხვივნენ პატარა დინოზავრებს. მის გარშემო ტკბილეული გროვად ეყარა. დინდინელა კი იჯდა და ტიროდა.

ბავშვებმა საშველად ისევ ბიძია ბათუ მოიყვანეს.

– რაო, დინდინელა, მოგწყინდა მარტო ყოფნა? – შეეკითხა ბიძია ბათუ.

– მომწყინდა, მომწყინდა, რად მინდა ტკბილეული, თუ ჩემს საყვარელ მეგობრებთან ვეღარ ვითამაშებ, მიშველე რა! – შესტირა დინდინელამ. კეთილმა მეზღაპრემ ხელი შეავლო თუ არა ქოლგას, იგი მაშინვე დაიკეცა და ბიძია ბათუს ჩანთაში ჩახტა.

ბავშვებმა მადლობა გადაუხადეს უფროს მეგობარს სასწაულისათვის.

– მე არაფერ შუაში ვარ, – უთხრა მან, – მე მხოლოდ ქოლგა გამოვართვი პატარა დინოზავრს, სასწაული კი თქვენმა სიყვარულმა მოახდინა, რომელიც დინდინელამ ტკბილეულის გორებზეც არ გაცვალა.



ილუსტრაციები იანა ჭიჭინაძის მიერ

ეს ზღაპარი ერთი ჯადოსნური წრის შესახებაა, რომელიც ძალიან ბევრს მოგზაურობდა. მოგზაურობა, რასაკვირველია, საინტერესოა – ათვალიერებ ახალ ქალაქებსა და სოფლებს, ეცნობი ახალ ადამიანებს, მაგრამ ჩვენი წრის მოგზაურობის მიზეზი მაინც სხვა რამ იყო – ის მუდმივად ეხმარებოდა ხალხს.

ერთ მშვენიერ დღეს, წრე უცნაურ ქალაქს ესტუმრა. არ იფიქროთ, რომ ადამიანები ჰაერში დაფრინავდნენ ან უცნაური ხმებით საუბრობდნენ. კიდევ რამდენი რამის წარმოდგენა შეიძლება, არა? სრულებითაც არა! ქალაქის მოსახლეობა აქ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი იყო, მაგრამ

უცნაური იყო თავად ქალაქი, რადგან ყველაფერს კვადრატის, სამკუთხედის ან მართკუთხედის ფორმა ჰქონდა.

თავად ქალაქი კვადრატული იყო, მასში სახლები კი მართკუთხედის ფორმის. ყველა სახლს სამკუთხედებიანი სახურავი ედგა თავზე. ხეებსაც სამკუთხედის ფორმა ჰქონდა. როგორც ჩანს, ფიგურების სიყვარული იმდენად ძლიერი იყო ამ ქალაქში, რომ ადამიანებსაც თავზე სამკუთხედის ფორმის ქუდები მოერგოთ და ასე ამაყად დადიოდნენ ქუჩაში ჩამწკრივებულ კუთხეებიან სახლებს შორის.

როდესაც ქალაქის მოსახლეობამ არხეინად და სწრაფად მოსრიალე ეს უცნაური წრე დაინახა, ძლიერ გაოცდა. მათ ხომ არასოდეს ენახათ ასეთი უჩვეულო ფორმის სხეული. ყველამ ნელ-ნელა მის სანახავად მთავარ მოედანზე მოიყარა თავი.

ჯადოსნური წრე კი ყურადღებით აგრძელებდა ქალაქის თვალიერებას. ბოლოს გაოცებულმა თქვა:

– რა მშვენიერი ქალაქია, მაგრამ მასში ერთი წრეც კი არაა. ნეტავ, როგორ ცხოვრობს აქ ხალხი?

გზა განაგრძო. ერთი მოხუცი კაცი შენიშნა – ძლივს ენეოდა მართკუთხა ფორმის ეტლს, რომელზეც ბევრი შეშა დაენყო. წრე კარგად დააკვირდა და მიხვდა, რომ მოხუცს ძალიან უჭირდა ეტლის ტარება. რატომ? ეტლს ხომ ბორბლები არ ჰქონდა.



წრე მიუახლოვდა მოხუცს და ჰკითხა:

– რატომ არ აქვს თქვენს ეტლს ბორბლები?

მოხუცი ჯერ ყურადღებით დააკვირდა მისთვის აქამდე უცნობ ფორმას, შემდეგ კი გაკვირვებულმა მიუგო:

– ვერ ვხვდები, რას გულისხმობ. რას ნიშნავს „ბორბლები“? ეს სიტყვა არასოდეს მსმენია.

აი, აქ მოხდა, რაც მოხდა! წრე თვალის დახამხამებაში ბორბლად გადაიქცა და მოხუცის წინ სწრაფად დაიწყო ტრიალი.





– დიდებული! საოცარია! ასეთი რამ არასდროს მინახავს! ნუთუ, შეგიძლია დამეხმარო? – ნამოიყვირა გახარებულმა მოხუცმა.

წრეს დიდხანს არც უფიქრია. სწრაფად გასრიალდა, სადღაც მოძებნა ხის მორი. ჯერ ოთხი დიდი წრე მოჭრა, შემდეგ თითოეულს შუაში პატარა წრეები გაუკეთა, წრეები ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე ხის ფიცრებით დაამაგრა და ბოლოს ზედ მოხუცის ეტლი დაადგა. მსუბუქად დაიძრა ეტლი. გახარებული მოხუცი თვალებს არ უჯერებდა. დიდი მადლობა გადაუხადა წრეს დახმარებისა და საოცარი საჩუქრისთვის და ბედნიერმა ლილინ-ლილინით განაგრძო გზა.

თვალის დახამხამებაში მოედო ქალაქს ეს უცნაური ამბავი. ყველამ ისწავლა ბორბლების კეთება და მეორე დღესვე გაივსო ქალაქის ოთხკუთხა ქუჩები ბორბლებზე მოსრიალე სწრაფი ეტლებით.

წრეს მადლობა გადაუხადეს დახმარებისთვის და სამუდამოდ მათთან დარჩენა სთხოვეს. მაგრამ წრემ თავმდაბლად უპასუხა:

– წრეს რომ არ უყვარს გაჩერება. ის ხომ მუდამ ტრიალებს. ახალი ადგილები მაქვს სანახავი.

უცებ მასთან მეფის ორი მცველი მივიდა:


– მეფე თავის სასახლეში გეპატიჟებათ. თქვენ მისი საპატიო სტუმარი იქნებით.

წრე მეფეს ეახლა. მართკუთხა მაგიდასთან მეფისა და მისი შვილების გვერდით არხინად ჩამოჯდა. მეფემ უთხრა:


– ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან. იქნებ ჩემი შვილებისთვის წრის ფორმის ახალი სათამაშო გამოიგონოთ.

წრე დახმარებაზე არასდროს ამბობდა უარს. მით უფრო, თუ თხოვნა ბავშვებს შეეხებოდა. უცებ ფერად ბურთად გადაიქცა. გაგორდა, გამოგორდა, შემდეგ ბავშვების წინ იხტუნავა, საკუთარი თავის დასაჭერად დიდხანს არბენინა ბავშვები, თავადაც ხალისობდა და ბავშვებსაც ართობდა საკუთარი ბზრიალ-ტრიალით. საოცარი სანახაობა იყო. მეფემ სასწრაფოდ იხმო თავისთან სათამაშოების გამკეთებელი და უბრძანა, ქალაქის ყველა ბავშვისთვის სწორედ ასეთი მრგვალი გასართობები დაემზადებინა. მეორე დღიდან გაივსო ქალაქი

ფერადი ლამაზი ბურთებით და ბედნიერი ბავშვებით, რომლებსაც არასდროს ენახათ მსგავსი სილამაზე. წრემ კი დატოვა ფორმების ქალაქი, რათა მისთვის უცნობი დანარჩენი სამყარო მოეწყო.



# სტუმრობანა



ცრუხინაყნა რანა სყარაყოინა

წიგნი  
წიგნი  
წიგნი

აბა, თქვით, ვის არ უყვარს სტუმრად  
სიარული! რა თქმა უნდა, ყველას. იმაშიც  
ღარწმუნებული ვარ, არა მხოლოდ  
სტუმრად წასვლა, არამედ სტუმრის  
მოსვლაც ძალიან გიხარიათ. ვახსოვთ, პეპი  
რომ სტუმრად დაბრუნდა, რა ბედნიერი იყო?  
ამიტომ გარდაწმენდა, ამიერიდან ზევინ მოვ-  
იწვიოთ ხოლმე სტუმრები და „მოკოლიტის“  
სახლში ვუქმარებთ. ვაუქმარებთ  
გემრიელი ტექსტებით, ახალი, ფუძემდებელი  
პრეზენტებით, კრაფტუნა გამოცანებით, დაბრაწული  
ნახატებით. გპირდებით, თავს არ მოგაბეზრებთ.  
მხოლოდ იმაზე ვუთხავთ, რაც თქვენ,  
„მოკოლიტის“ ბატონა მკითხველებს  
გაინტერესებთ.

აღბათ ყველა ბიჭი ოცნებობს, ისეთი  
ცნობილი და წარმატებული გახდეს, რო-  
გორც კლასიკური მანა ფანსიონა.  
მაგრამ ვიდრე ასეთი  
ცნობილი გახდებოდა, ის ხვეუ-  
ტეზი იყო. დადიოდა სკოლაში,  
თამაშობდა მეგობრებთან ერთად და ვიბ-  
ულობდა წიგნებს.  
აღბათ გაინტერესებთ,  
როგორ იყო ის ბავშვი. ამის  
შესახებ თავად სპორტსმენი ვამბობთ,  
რომელიც  
„მოკოლიტის“ სტუმარია.

# ზაზა ვაჩყლია



– ზაზა, როგორი ბავშვი იყავით?

– ძალიან წყნარი ბავშვი ვყოფილვარ. დედა რომ ბაზარში ან მაღაზიაში მიდიოდა, მრიცხველს გამორთავდა, გაზის ონკანს და ფანჯრებს დაკეტავდა, დამიყრიდა სათამაშოებს და ტელეფონთან დამსვამდა. ძალიან პატარა, ალბათ 3-4 წლისა თუ ვიქნებოდი. მაშინ მობილურები არ არსებობდა, დედა ქუჩის „ორკაპიკიანი“ ავტომატით წამდაუნუმ მირეკავდა და იგებდა, როგორ ვიყავი.




3 წლის ასაკში ციფრებსა და ასოებს ვცნობდი. ერთხელ დედას და მამას მანქანით მივყავდი და ჩვენს წინ მიმავალი მანქანის ნომერი ხმამაღლა წამიკითხავს. ჩემს მშობლებს ისე გაკვირვებიათ, ლამის რალაცას შეჯახებთან. დედასთან გაზეთები მიმქონდა და სათაურებს ვაკითხებდი, ასოებს ვიმახსოვრებდი და სხვა სიტყვების ამოკითხვას ასე ვცდილობდი. მაგ-

ალითად, აღმოვაჩინე რომ გაზეთი „კომუნისტი“ და დედაჩემის გვარი „კოდუა“ ერთსა და იგივე ასოზე იწყებოდა. ასე ვისწავლე კითხვა.

4 წლისამ ბებიას, რომელიც ჩვენთან უნდა მოსულიყო, წერილი დავუწერე: „ბებო, დენი წავიდა და ლიფტით არ ამოხვიდე, ფეხით ამოდი“. წერილი კართან გავუკარი. ის კი ვერ მოვიფიქრე – როცა წერილს ნახავდა, კიბე უკვე ამოვლილი ექნებოდა.

მართალია, წყნარი ბავშვი ვიყავი, მაგრამ ძალიან ჯიუტიც. ერთხელ ოთხფეხა ჩიტი დავხატე. როცა ამიხსნეს, რომ ჩიტს ორი ფეხი აქვს, მე გავჯიუტდი – არა, ეს ამერიკული ჩიტია, ამერიკულ ჩიტს კი ოთხი ფეხი აქვს-



მეთქი. ვერაფრით ვერ გადამარწმუნეს. მერე, როცა ამერიკაში წავედი, მივხვდი, რომ იქაურ ჩიტსაც ორი ფეხი აქვს.

- **ზაზა, რომელი წიგნი გიყვარდათ ბავშვობაში?**

- ძალიან მომწონდა „ტომ სოიერი“. აგრეთვე ჯემალ ქირიას „ბაციკუკუ“.

- **თქვენს შვილებს თუ უყვართ კითხვა?**

- დიახ. ბევრს კითხულობენ. ძალიან უყვართ „ჰარი პოტერი“.

- **სხვადასხვა წრეზე დადიოდით?**


მშობლებს უამრავ წრეზე დავყავდი – ფორტეპიანოზე, გიტარაზე, ფეხბურთზე, ცურვაზე. პიონერთა სასახლეში – თეატრალურ წრეში. დავდიოდი ხალხურ ცეკვებზე, მაგრამ მასწავლებელმა დედას უთხრა, სჯობს, გაიყვანოთ, მენწყვილეს ვერ ვპოულობთ – სიმაღლე მიშლიდა ხელს.

მუსიკიდანაც გამოვედი – სასაცილო იყო, ამხელა კაცი რომ პიანინოსთან ვიჯექი. რა თქმა უნდა, ყველა წრეზე ხალისით არ დავდიოდი, მაგრამ ყოველთვის მიხსნიდნენ, რატომ უნდა წავსულიყავი. უცხო ენებზე სიარულის დროს, მახსოვს, დედაჩემმა ამიხსნა – წარმოიდგინე, რომ მოგინევს საზღვარგარეთ წასვლა და როცა იმ ხალხს მათ ენაზე დაელაპარაკები, მიხვდები რა საჭირო ყოფილა ენის სწავლაო. ეს სიტყვები ხშირად მახსენდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა უცხოეთში მათი გამოყენება მიწევს. უცხო ენების სწავლა ადრეული ასაკიდან დავიწყე – ჯერ ინგლისური, შემდეგ – რუსული და თურქული.

ესპანურსა და იტალიურსაც ვსწავლობდი, მაგრამ ბოლომდე ვერ მივიყვანე. ვფიქრობდი, რომ ოთხი ენის შემდეგ უფრო გამიიოლდებოდა, მაგრამ დრო აღარ მრჩებოდა.

- **ძალღი თუ გყავდათ ბავშვობაში?**

ერთხელ, მე-6 კლასში რომ ვიყავი, ფული შევაგროვე და როტგვილერის ლეკვი ვიყიდე. ლეკვს ჩემი მეგობრის, ირაკლი კედის საპატივსაცემოდ კედო დავარქვი. დედაჩემს არ უნდოდა ძალღის მოყვანა და იმდენი ვეხვეწე, მე მოვუვლი, მე გავზ-



რდი-მეთქი, დავიყოლიე. თუმცა მერე ახლოს აღარ გავკარებივარ და მაინც დედაჩემს მოუწია მისი გაზრდა. მას შემდეგ ძალიან აღარც მყოლია.



– **კალათბურთის  
თამაში როდის დაიწყეთ?**


როგორც ყველა ბიჭს, კალათბურთი ყოველთვის მომწონდა. სულ პატარა, ალბათ 5-6 წლისა მშობლებს საკალათბურთო მატჩებზე დავყავდი და ვგრძნობდი, რომ მეც მინდოდა თამაში. სკოლა, რომელშიც მე ვსწავლობდი, დილომში, „დინამოს“ ბაზის გვერდით მდებარეობდა. სკოლაში ფეხით დავდიოდა და ყოველდღე ვხედავდი, როგორ შედიოდნენ „დინამოელები“ ბაზაზე. კალათბურთი ჩვენს ოჯახში ყოველთვის უყვარდათ. დედაც კალათბურთელი იყო. იმ დროს კალათბურთი, როგორც სპორტის სახეობა, ძალიან პოპულარული იყო.



ერთხელ, გაკვეთილზე დირექტორი შემოვიდა სტუმართან ერთად. მაშინ 9 წლის ვიყავი. კლასში ყველაზე მაღალი ვიყავი, ამიტომ ბოლო მერხთან ვიჯექი. მათი შემოსვლისას ყველა ფეხზე წამოვდექით. ჩემს დანახვაზე სტუმარს თვალები გაუბრწყინდა. ახლა ვხვდები, რატომაც. დირექტორმა წარმოგვიდგინა – ბატონი ნიკო კალათბურთის მწვრთნელია, დიდუბის მანეჟში ატარებს ვარჯიშებს და თუ ვინმეს სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ მასთან მიხვიდეთო. ძალიან გამეხარდა და სადამოს მშობლებს ვთხოვე, მიმიყვანეთ მეთქი.

ასე დავიწყე ვარჯიში. ჩემი მასწავლებელი ზურაბ სამხარაძე იყო. ჩვენს გუნდს კი „მართველი“ ერქვა. მერე გადაარქვეს და „არწივი“ დაარქვეს. ძალიან კარგი გუნდი იყო, უამრავი მედალი გვაქვს ალებული. ხშირად გვინევდა შეჯიბრებებზე საზღვარგარეთ გამგზავრება, ვიყავით თურქეთში, ბარსელონაში. ეს ძალიან მომწონდა. შემდეგ კი თურქეთში მიმინვიეს. 14 წლის გავხდი თუ არა, სტამბულში გადავედი.

ამის შემდეგ უკან აღარ მომიხედავს, სულ წინ და წინ მივდიოდი. უკვე გამიჩნდა იმის ამბიცია, რომ NBA-ში გადავსულიყავი. ვგრძნობდი, რომ მიზანს ვუახლოვდებოდი. ვგრძნობდი, რომ შემეძლო ამის გაკეთება. ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი. ყოველდღე ვუმატებდი ვარჯიშს. ამ საქმეში მხოლოდ ტალანტი და შრომისმოყვარეობა საკმარისი არაა.





პარიამ წიკლაური

ნიკმ-ნიკმს 1000 ნიკმ-მაკმ

## ოთხეხა მეგობარი

ბავშვებს ძალიან უყვართ ცხოველები, საკუთარი ოთხეხა მეგობრები. რა ბედნიერებაა, როცა საკუთარი პატარა ლეკვი გყავს, კატის კნუტი ან საკუთარი ხარი „ნიქარა“! სახედარი „ლურჯა“? თუნდაც, სელაპი, როგორც ასტრიდ ლინდგრენის ნიგნშია „ჩვენ სალტკროკელები ვართ“? ან მაიმუნი და ცხენი, პეპის რომ ჰყავდა შინ. უამრავ საბავშვო ნიგნში შეხვდებით შინაურ ცხოველებს, რომლებიც ეხმარებიან და ზრუნავენ პატრონებზე. ამაში ძალღს არავინ შეედრება. მათ ხშირად გადაურჩენიათ ადამიანები, მამაცი პოლიციელებივით დამნაშავეებიც უპოვიათ. ძალი არასდროს მიატოვებს გასაჭირში პატრონს, გრძნობს და ესმის მისი სიხარულიც და ტკივილიც. მსოფლიოში უერთგულესი ცხოველებისთვის ძეგლებიც კი დაუდგამთ. ადამიანებს სხვადასხვა სახის მოშინაურებული ცხოველი ჰყავთ. იმედია, შენც ოცნებობ გყავდეს ასეთი მეგობარი.

## ღაუიკუათ კანონი!

ბავშვები ცხოველებთან ურთიერთობაში ეჩვევიან ზრუნვას, განიცდიან სიხარულსა და თავისუფლებას. თუმცა მათი ყოლა და მოვლა არც ისე იოლია. ცხოველებს ყოველდღიური ზრუნვა ესაჭიროება: საკვები, სადგომი, წვრთნა, წამლები. ადამიანს უნდა გააჩნდეს საამისო პასუხისმგებლობა. მარტო მათთან თამაში არ კმარა. ცხოველები სეირნობისას აბინძურებენ ქუჩებს. მათ ხომ ღამის ქოთნები არ აქვთ? კანონის შესაბამისად უნდა გვქონდეს სპეციალური პარკები და ნიჩაბი რომ გავწმინდოთ „ქიხიები“ ქუჩაში. და მარტო ცხოველები?! ადამიანებიც, ვინც ფანჯრებიდან ჰყრის და ასხამს ძველ საჭმელს და ნარჩენებს ქუჩის ცხოველებს გამოსაკვებად. ყველაზე ცუდი კი ისაა, როცა ბავშვები ან უფროსები შინაურ ცხოველებს აწამებენ, უპატრონოდ ყრიან ახალშობილ ლეკვებს, კნუტებს, ან დაბერებულ ცხოველს ქუჩაში აგდებენ. ბავშვებო, არასოდეს მოექცეთ ასე ცხოველებს! ვიყოთ მზრუნველი, გულისხმიერი მოქალაქეები.



# უცნაური „შინაურები“



იქნებ არასდროს გიფიქრიათ რომ თქვენ სახლებში კატებისა და ძაღლების გარდა სხვა შინაურებიც ბინადრობენ? ობობა! მოკალათებულა ოთახის კუთხეში და არც გასეირნებას გთხოვს და არც საჭმელს. მაგრამ ეგ მგონი ოთხფეხა კი არა, რვაფეხა მეგობარია. ერთმა ჩემმა ნაცნობმა კალია მოიშინაურა, ერთმა – თაგვი, ერთმაც – მაიმუნი მაკაკა, ერთმა – კუ, ერთმა – დათვი, ერთმა – ზღარბი. როგორც ჩანს, ადამიანს დიდად სიამოვნებს შინ

მოშინაურებული არსება ჰყავდეს. ცხოველებისა და ადამიანების ურთიერთნდობის ყველაზე უცნაური მაგალითი თბილისის წყალდიდობისა და ტრაგიკული 13 ივნისის დღეს მახსენდება, როცა ადამიანები ცხოველების გადარჩენაზე ზრუნავდნენ. ზოოპარკიდან წყალდიდობას გადარჩენილი ბეჰემოთიც გახდა საბავშვო წიგნის პერსონაჟი. არსებობს მოუშინაურებელი ცხოველებიც, რომლებიც ადამიანთა სახლებს ეტანებიან: მერცხლები, სინდიოფალები. ფოლკორში უამრავი ამბავია მოთხრობილი გველზე, რომელიც კერის მფარველად ბინადრობს სახლში. ზღარბიც გავიხსენოთ, რომელიც თუკი თქვენ ეზოში დაბინადრდა, იქ ვერც ერთი საშიში ქვეწარმავალი ველარ გაძლებს.

## lekvis dabadebis dRe

დაბადების დღე აქვს ჩვენ ლეკვს – ერთი წლის წინ გაჩნდა! ის ერთ ლამაზ სახლში ცხოვრობს, სამ პატარა ბავშვთან. ვერც თვლის იუბილარი სტუმრებსა და საჩუქრებს, წელი რომ ემატება, ეგ სულაც არ აწუხებს. არც სიმღერა უნდა და არ ჩხაკუნი გიტარის, არვინ შეეხვეწება, „აბა, ლექსი გვითხარი“. – რა მიართვეს? – ეს ჯამი, ესეც პლედი, ახალი. – კიდევ? – ალიკაპი და ტყავის დიდი ლაგამი. ციცქნა ტორტზე დაუდეს სანთლის ნაცვლად გუფთა. წუხელ კარგად აბანავეს, სანოლიც აქვს სუფთა. მას ბალიშიც აჩუქეს და პლასტმასის ძვალაც. ჩვენი ლეკვი დღეიდან დიდი ძალღი არის! ჰამ-ჰამ! ჰამ-ჰამ! ძალღი ვარ! დახტის, დახტის. ყეფს და ყეფს. უხარია ბავშვივით თავის დაბადების დღე!



იღმსებადმოიღვანა ხმსჩიხიძე



## ბეატრის პიტერი

ვინ არ იცნობს ლამაზ კაბებში და ქურთუკებში გამოწყობილ ბაჭიებს, ციყვებს, თაგვებს და სხვა ცხოველებს. მათ ხან წიგნის ყდაზე გადაწყდებით, ხან ფინჯანზე ან ტკბილეულის კოლოფზე. ეს საყვარელი არსებები მთელ მსოფლიოში დაიფანტნენ სუვენირების, სათამაშოების, ბარათების სახით და ახლაც კი, როცა მათი შემქმნელის გარდაცვალებიდან 100 წელზე მეტია გასული, ისინი კვლავ პოპულარულები არიან. დიახ, რა თქმა უნდა, საუბარია კურდღლებზე – პიტერსა და ბენჟამენზე და მათ „დედობილზე“, ცნობილ ინგლისელ საბავშვო მწერლსა და მხატვარზე, ბეატრის პიტერზე.

2016 წელს მწერლის დაბადებიდან 150 წლის იუბილეზე მისი პერსონაჟი, ციყვი ნატკინი 50 პენსიან მონეტაზე გამოისახა.



### კურდღელი პიტერი – ბეატრის პიტერის ყველაზე საყვარელი გმირი

პიტერის პროტოტიპი რეალური კურდღელი – ბეატრისის ბაჭია, სახელად პიტერ პაიპერი იყო, რომელიც ბეატრისს 4 მილინგად და 6 პენსად უყიდეს. ბაჭია განვრთნილი იყო და შეეძლო რგოლში ხტომა, ზარის დარეკვა და დოღზე დაკვრა. და თუმცა მან ბეატრისს სახელი და დიდი ფინანსები მოუტანა, მწერალი მაინც ფიქრობდა, რომ ხალხს კურდღლები უყვარდა და ამიტომ შეიყვარეს მისი პერსონაჟიც. პიტერი 1893 წელს დაიბადა წერილებში, რომელთაც ბეატრისი თავისი ყოფილი გუვერნანტის, ენი მურის 5 წლის ვაჟს, ნოელს წერდა. 1902 წელს კი ის მოთხრობის „კურდღელი პიტერი“ პერსონაჟად იქცა.







პატარა ბეატრისი

სიცოცხლის მანძილზე ბეატრისმა 23 მცირე ფორმატის წიგნი გამოსცა ბავშვებისათვის. ბეატრისი თავის პერსონაჟებს, როგორც ადამიანებს, ისე წარმოდგენდა. მათ ეცვათ ისე, როგორც იმ დროს იყო მიღებული. ისინი ლაპარაკობდნენ, ჰქონდათ ოჯახები და საერთოდ, ისეთები იყვნენ, როგორიც ამ ეპოქის ინგლისელები.

მის კალამს ეკუთვნის წიგნები „კურდღელი პიტერი“, „დედა კურდღელი ფლოპსი“ „თაგვი ჯონი და მისი მეგობრები“, „ქალაქელი თაგვი ჯონი სტუმრად მინდვრის თაგვთან“, „კნუტი ტომი და მისი მეგობრები“, „ზღაპრი მისის ტუფი“ და სხვ.



ფილმი ბეატრისის პოტერზე 2006 წელს რეჟისორმა კრის ნუნანმა ეკრანზე გადაიტანა და მთავარ როლში ცნობილი

მსახიობი, რენე ზელვეგერი მიიწვია. ფილმი მწერლის ცხოვრების იმ პერიოდს ეხება, როცა ის ცდილობს, გააკეთოს არჩევანი – მიჰყვეს ვიქტორიანული ინგლისის ტრადიციებს თუ საზოგადოების წინააღმდეგ წავიდეს და შემოქმედება აირჩიოს. ფილმში მთავარ გმირებად ბეატრისის პერსონაჟებიც გვევლინებიან, რომლებზეც ანიმატორების ჯგუფი მუშაობდა.

თარგმანი ვაჩივან ბახედაძის

ბეატრისის პოტერი

## ჯემაიმა ტყაპუნას ამბავი

დამეთანხმებით – ძალიან სასაცილო სანახავია იხვების გუნდი ქათამთან ერთად! აი, მოუსმინეთ ჯემაიმა-იხვის, გვარად ტყაპუნას ამბავს, რომელიც ძალიან ბრაზობდა იმაზე, რომ ფერმერის მეუღლე კვერცხებზე დაჯდომის უფლებას არ აძლევდა. მით უმეტეს, რომ მისი რძალი, ქალბატონი რებეკა, აგრეთვე ტყაპუნა, იოლად ანდობდა კვერცხების გამოჩეკას ვინმე სხვას და ხშირად იტყოდა-ხოლმე:

– აჰ, რას ბრძანებთ! სად მაქვს ამდენი მოთმინება, ოცდარვა დღე ბუდეზე ვიჯდე! ან თქვენ სად გაქვთ ამის თავი, ჩემო ჯემაიმა! დარწმუნებული ვარ, გააცივებთ ჯერაც გამოუჩეკავ ყუჭულებს!

– არა! მინდა, ჩემი კვერცხები თავად გამოვჩეკო და ასეც მოვიქცევი! – გაცხარდებოდა-ხოლმე ჯემაიმა ტყაპუნა.

რაც მართალია, მართალია, ყველანაირად ცდილობდა, კვერცხები დაემალა, მაგრამ ყოველთვის პოულობდნენ და მიჰქონდათ. სასონარკვეთილმა ჯემაიმა ტყაპუნამ



გადანყვიტა, ბუდე ფერმიდან შორს, სადმე სხვაგან მოეწყო. ადგა და გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს სოფლის შარას გაუყვა, რომელიც პატარა ბორცვის კენ მიდიოდა. ჯემაიმა სამგზავროდ იყო გამოწყობილი – ყელზე შარფი ჰქონდა შემოხვეული და თავზე ბაფთიანი ქუდი ეხურა. დიდხანს იარა და როგორც იქნა, თავისი ბატიფხურით, მიაღწია ბორცვის მწვერვალს. ავიდა მასზე და ზემოდან გადმოხედა პატარა ტყეს. რატომღაც ფიქრობდა, რომ სწორედ აქ იპოვიდა უსაფრთხო და ნყნარ თავშესაფარს. უნდა ითქვას, რომ ჯემაიმა ტყაპუნა არ იყო ფრენას ჩვეული. ამიტომ თავქვეში შარფის ფრიალით, კისრისტეხით დაემვა, რამდენიმე ეზოს ჩაურბინა, შემდეგ მოუხერხებლად შეხტა და ჰაერში აიჭრა. მერე თანდათან გასწორდა და თანაბრად და ლამაზად განაგრძო ფრენა. თავზე გადაუფრინა ხეებს და მალე ტყის შუაგულში, ხეებისა და ბუჩქებისაგან განმედილი პატარა მინდორი შენიშნა. ჯემაიმა მძიმედ დაემვა და ჩვეული ბაჯბაჯით გაეშურა დასაბუდებელი, მშრალი ადგილის საძებნელად. მაღალ ფუტკარებს შორის მდებარე ხის კუნძს დაადგა თვალი, მაგრამ ახლოს რომ მივიდა, აღმოაჩინა, რომ მასზე ელეგანტურად ჩაცმული ჯენტლმენი იჯდა და გაზეთს კითხულობდა. ჯენტლმენს ნანვეტებული ყურები და ქვიშისფერი ულვაშები ჰქონდა.

- ვიტ! – თქვა ჯემაიმა ტყაპუნამ და თავი ოდნავ გვერდით გადახარა.
- ვიტ? – ჯენტლმენი გაზეთს მოსწყდა და ინტერესით შეხედა ჯემაიმას.
- მადამ, ვშიშობ, რომ დაიკარგეთ... – თქვა მან.

ჯენტლმენი გრძელ, ხშირ კუდზე მოკლათებულისყო, რადგან კუნძი საკმაოდ ნესტიანი გახლდათ. ჯემაიმამ გაიფიქრა, ეს ბატონი ძალიან ზრდილობიანი და მიმზიდველიაო. თავაზიანად აუხსნა, რომ ის არ დაკარგულა, უბრალოდ ეძებს მშრალ ადგილს დასაბუდებლად.

- აჰ! ნუთუ ასეა? ნამდვილადაა?! – თქვა ჯენტლმენმა ქვიშისფერულვაშიანმა, რომელიც ჯემაიმას ინტერესით ათვალიერებდა. მერე გაზეთი დაკეცა და ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო. ჯემიმამ მეზობელ ქათმებზეც ნაინუნუნა.

- რა საინტერესოა! სიამოვნებით ვნახავდი ამ ფრინველებს. ვაჩვენებდი, როგორ უნდა სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა! ხოლო, რაც შეეხება ბუდეს – არანაირ სირთულეს არ წარმოდგენს – ხის ფარდულში ბუმბულის ისეთი მარაგი მაქვს... და თქვენ, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, არავის შეუშლით ხელს. მოეწყობით და იმდენ ხანს იჯდებით ბუდეზე, რამდენიც გაგებარდებათ, – დასძინა გრძელკუდიანმა ჯენტლმენმა. მერე ჯემაიმას ძველი სახლისკენ გაუძღვა, რომლის გარშემოც ფუტკარები იზრდებოდა. ქობი ტირიფის ნკნელებით იყო მოწნული და თიხით შელესილი, სახურავზე კი ორი ძირგავარდნილი, ერთმანეთში ჩადგმული სათლი ბუხრის მილის მაგივრობას სწევდა.

- ეს ჩემი საზაფხულო რეზიდენციაა. ჩემს ზამთრის სოროში... მინდოდა მეთქვა, ზამთრის სახლში ალბათ არ მოგენონებოდათ. თქვენთვის აქ უფრო მოსახერხებელია, – თქვა სტუმართმოყვარე ჯენტლმენმა. სახლის უკან საპნის ყუთებისგან შეჭედილი, გადაბრეცილი ფარდული იდგა.

ჯენტლმენმა კარი გააღო კარი და ჯემაიმა შიგნით შეიპატიჟა. ფარდული ისე იყო გამოვსებული ბუმბულით, რომ სუნთქვაც ჭირდა. სამაგიეროდ, რბილი და თბილი იყო. ჯემაიმა ტყაპუნა ამდენი ბუმბულის ახვამ გააოცა, თუმცა ამაზე ფიქრით დიდხანს არ შეუნუხებია თავი – მაშინვე ბუდის მოწყობას შეუდგა. როდესაც ჯემაიმა გარეთ გამოვიდა, ქვიშისფერულვაშიანი ჯენტლმენი კვლავ მორზე იჯდა და ისევ გაზეთს კითხულობდა. ან შეიძლება სულაც არ კითხულობდა, ვინ იცის. ყოველ შემთხვევაში, გაზეთი გაშლილი ჰქონდა და იხვს გაზეთის ზემოდან გადმოხედა. თავაზიანმა ბატონმა ნუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ ჯემაიმა ღამით სახლში უნდა გაეშვა. დაჰპირდა, თქვენს დაბრუნებამდე მე ვუდარაჯებ ბუდესო. ისიც დასძინა, რომ აღმერთებს იხვის კვერცხებს და პატარა ჭუჭყულებს. და საერთოდ, ძალიან ამაყია, რომ მალე მის ხის ფარდულში იხვის კვერცხებით სავსე ბუდე იქნება.

ამ დღის შემდეგ ჯემაიმა ტყაპუნა ყოველ შუადღეს მოდიოდა. მალე მის



ბუდეში ცხრა კვერცხი მოგროვდა. მომწვანო-მოთეთრო ფერის კვერცხებს აღფრთოვანებაში მოჰყავდა წითური ჯენტლმენი. როგორც კი ჯემამიას ნასულს დაიგულედა, ითვლიდა და ითვლიდა. ბოლოსდაბოლოს ჯემამიამ გამოცხადა, ხვალდან კვერცხებზე დაჯდომას ვაპირებო.

– ტომრით მარცვალს მოვიტან, კვერცხების გამოჩეკვამდე ბუდის დატოვება რომ არ მომიხდეს, თორემ გამიცვივდებიან. – თქვა ჯემამიამ.

– ქალბატონო, გთხოვთ, ნუ შენუხდებით ტომრის ტარებით. ყოველდღე იმდენ შვრიას მოგართმევთ, რამდენსაც ისურვებთ. მაგრამ ვიდრე თქვენს ხანგრძლივ ჯდომას შეუდგებით, ნება მომეცით, გაგიმასპინძლდე. მოდით, ერთად ვისადილოთ – განაგრძობდა ის. – შეგიძლიათ, ბალიდან მწვანილი წამოიყოლოთ, ომლეტის მოსამზადებლად? სალბი და ბეგქონდარა, პიტნა და ორი ხახვი... და ცოტა ოხრახუმიც არ დაგავინყდე. დანარჩენს მე მოვიტან, რაც კერძის...მმ... ომლეტის მოსამზადებლად საჭირო, – თქვა სტუმართმოყვარე ქვიშისფერულვაშიანმა ჯენტლმენმა.

ჯემამიამ ტყაპუნა გულუბრყვილო იყო: არც სალბის და ხახვის ხსენებამ აღუძრა ეჭვი. წავიდა ბაღში, დაკრიფა ყველა ის მწვანილი, შემწვარი იხვის ფარშირებას რომ სჭირდება. ესეც არ იკმარა – სამზარეულოში შეიარა და კალათიდან ორი თავი ხახვის ამოიღო. იქიდან გამოსულს მეზობელი კოლი, სახელად კეპი შეეფეთა.


– რად გინდა ეგ ხახვი? სად დადიხარ ყოველ შუადღეს, მარტოდმარტო, ჯემამიამ ტყაპუნა? – მკაცრად იკითხა კეპმა.

ჯემამიას ამ ძაღლის ყოველთვის ეშინოდა. ამჯერადაც, ადგა და ყველაფერი ჩაუკაკლა. კოლი უსმენდა, ჭკვიანი თავი ოდნავ გვერდზე ჰქონდა გადახრილი. როდესაც ჯემამიამ თავაზიანი, ქვიშისფერულვაშიანი ჯენტლმენი აღუნერა, ძაღლმა ჩაიქირქილა. ჯემამიას დაწვრილებით გამოჰკითხა, სად იყო ეს ტყე და სად იდგა მობრეცილი ფარდული. ამის შემდეგ ხმა აღარ გაუღია, მობრუნდა და სოფლის გზას გაუყვა. ორი, კარგად მოზრდილი ფოქსტერიერის ლეკვები მოძებნა, რომლებიც ყასაბის ურიკის უკან მისუნსულებდნენ. ჯემამიამ ტყაპუნა კი სოფლის გზას მიუყვებოდა. გარეთ მზიანი, თბილი ამინდი იყო. იხვი ძლივს მიათრევდა ტვირთს – მწვანილის კონებსა და კიდევ ხახვის ორ თავს. როგორც იქნა, გადააფრინდა ხეებს და პირდაპირ კუდფუმფულა ჯენტლმენის ფარდულთან დაფრინდა. მასპინძელი ისევ მორზე იჯდა, ჰაერს ყნოსავდა და აქეთ-იქით იცქირებოდა. ჯემამიამ რომ მიწაზე დაეშვა, შიშისგან შეხტა კიდევ.

– დროზე გაინძერი! ვიცი, ახლა შენს კვერცხებთან გაიქცევი! მომეცი მწვანილი ომლეტისთვის და დროზე შემოდი ფარდულში! – შეუყვია ჯენტლმენმა ჯემამიას, რომელიც გააოცა ასეთმა უხეშმა მიმართვამ და თავი ფრიად უსიამოვნოდ იგრძნო. შიგნით შესულს, ფარდულის უკანა მხარიდან ნაბიჯების ხმა შემოესმა. ვილაც შავი ცხვირით კარის ძირს ყნოსავდა, შემდეგ კი კარი ჩაკეტა. ჯემამიამ ძალიან შეშფოთდა.

გაისმა საშინელი ხმაური – ყეფა, ყმუილი, ღრიალი და ღმუილი. მას შემდეგ არავის უნახავს მელაკუდა – ულვაშიანი ჯენტლმენი. ფარდულის კარი კეპმა გახსნა და ჯემამიამ ტყაპუნა გამოუშვა. სამწუხაროდ, ლეკვები შემოცვივდნენ და ვიდრე ჯემამიამ მათ შეჩერებას მოასწრებდა, ყველა კვერცხი დაამტვრიეს. კეპს ყური ჰქონდა დაკბენილი, ხოლო ლეკვები კოჭლობდნენ. ჯემამიამ ტყაპუნა სახლამდე მიაცილეს, რომელსაც თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, თავისი მომწვანო-თეთრი კვერცხების გამო. ივნისში კიდევ დადო რამდენიმე კვერცხი. ამჯერად მას ნება დართეს, დაეტოვებინა, თუმცა მხოლოდ ოთხი მათგანი გამოიჩეკა. ჯემამიამ ტყაპუნა ირწმუნებოდა, რომ ნერვების ბრალი იყო; ხომ გახსოვთ, ყოველთვის მოუსვენარი იყო.





# ტყის მუზე

ირმა სურგია

ყველა პატარა გოგონა ლამაზია, მაგრამ ზოგიერთმა ეს არ იცის, ამიტომ უფროსებმა უნდა უთხრან.

ნუცამ იცოდა რომ ლამაზი იყო, რადგან დედიკო ხშირად ეუბნებოდა, მზის სხივივით ლამაზი ხარო...

თუმცა გოგონასთვის მთავარი გარეგნული სილამაზე კი არ იყო, არამედ – შინაგანი სამყაროს მშვენიერება.

– წიგნები გვილამაზებენ სამყაროსო! – უთხრა ერთხელ დედამ... და ნუცამ წიგნები შეიყვარა. წიგნებმა იმდენი ამოგზაურეს სხვადასხვა შთამბეჭდავ ამბავში, რომ ნამდვილი მოგზაურობა და ხეტიალი მოანდომეს. სასიამოვნო ხეტიალისთვის ყველაზე კარგი დრო ზაფხულია. და აი, დადგა ნანატრი ზაფხულიც. გოგონას ოჯახმა ტყისპირა სააგარაკო სახლს მიაშურა.

– დე, ხვალ დილით ტყეში უნდა წავიდე! – მხიარულად გამოაცხადა ნუცამ.

– მეგობრებთან ერთად? – ჩაეხუტა დედა.

– არა, მარტო!

– შენ, ვიცი, არ გეშინია, მაგრამ მე რომ შემეშინდება შენს გამო?!..

– ტყე თავგადასავლისთვის და საკუთარი თავის შეცნობისთვის შესანიშნავი ადგილია, თუ დაიკარგები და გზას მაინც იპოვი, ე.ი. საკუთარი თავიც იპოვე...

– რა მამაცი და ჭკვიანი გოგონა მყავს... – გაიბადრა დედა – მობილურის წაღება არ დაგავინყდეს – დედებს რჩევების გარეშე არ შეუძლიათ, თორემ ბავშვებს მობილურს რა დაავინყებთ.

დილით ნუცამ თავად მოამზადა საგზალი, რაც ყველაზე ძალიან უყვარდა: ხაჭაპური, ხილი და ნყალი. ჩაალაგა ლამაზად მოხატულ ზურგჩანთაში და ტყის საინტერესო გზას გაუდგა. დედის ლოცვამ გოგონაზე ადრე შეაღწია ტყეში და ყვავილები გააფერადა. ისინი როგორც მზის სხივს, ისე ეგებებოდნენ ლამაზ გოგონას. ფოთლები ნაზი შრიალით ესალმებოდნენ. ჩიტები ტკბილად გალობდნენ. წვიმის წვეთები ნაზად ეალერსებოდნენ. ყველა-

ფერი ზუსტად ისე იყო, როგორც ზღაპარში. ტყე თავისი მომაჯადოებელი ძალით გოგონას სიღრმისკენ იზიდავდა. უეცრად სიმწვანე სიბნელემ შეცვალა. ნუცას შეეშინდა. შიში ბუნებრივია, მაგრამ შიშთან ერთად სიცოცხლის შეგრძნებაც ძლიერდება. არჩევანი შენზეა, რომელ ხმას აჰყვები შიშის თუ სიცოცხლის. შიშმა კიდევ უფრო იმატა, როცა გოგონას სიბნელეში ბუნდოვნადაღქმული ერთი დიდი მუხა მიესალმა:

– გამარჯობა!

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პატარა გოგომ ტყის სიღრმეში, მის ჯადოსნურ ნაწილში შეაბიჯა.

– გამარჯობა!

– რა გქვია?

– მე ნუცა. თქვენ?

– დიდი მუხა, ყველა ასე მეძახის.

– ასე რატომ ბნელა?

– მზე წაგვართვეს!

– მზე წაგვართვეს? ვინ? როგორ?

– დიდი ხნის წინ ერთ ღამეს აქ ბოროტი ჯადოქარი მოვიდა. დაჭრილი იყო და მზის ამოსვლამდე შემთავრებულ, გვთხოვა. მე და ჩემმა მეგობარმა ხეებმა ის



გავაგდეთ, მან კი დაგვწყევლა, რომ არასდროს გვეხილა მზე და მუდმივ წყვდიადში გვეცხოვრა.

– შემიძლია, დაგეხმაროთ? – აღარ ეშინოდა ნუცას, რადგან სხვისი დახმარების სურვილი საოცარ ძალას მატებდა.

– სხვა გვეკითხავდა, აქედან როგორ გავალწიოო, შენ კი ჩვენ დახმარებას ცდილობ... – გაუკვირდა დიდ მუხას.

– თუ მოინდომებ, შეუძლებელი არაფერია! – მოაგონდა გოგონას მამის სიტყვები, რომლითაც მას ხშირად აგულიანებდა.

– წყევლის მოხსნა შესაძლებელია! შვიდი სიკეთე უნდა ჩამოთვალო, რომლითაც ხეები ვეხმარებით ადამიანებს – უთხრა ხემ პატარა გოგონას – ასევე გვეჭირდება მხოლოდ ერთი კეთილი საქმე, რომელსაც თავად მოიფიქრებ და აქვე, ტყეში ახლავე გააკეთებ!

– ხეები ალამაზებენ სამყაროს! – პირველი ეს გაახსენდა გოგონას და მზის პირველმა სხივმაც შემოაღწია წყვდიადში.

– გვანვდიან მაცოცხლებელ ჟანგბადს!

– რა სასიამოვნოა მათ მიერ გაგრილებული ჰაერი!

– რა გემრიელია მათი ნაყოფი! – მზის სხივები ისეთივე ხალისით იღვრებოდნენ ტყეში, როგორც გოგონას სიტყვები.

– რამდენ ფრინველს სთავაზობენ თავშესაფარს! – ისე განათდა, უკვე ბუდეების დანახვაც შეიძლებოდა.

– რა სასიამოვნოა მათი ჩრდილი, განსაკუთრებით ცხელ ზაფხულში!

– ხის სახლები! როგორ მიყვარს ისინი! – ხმამაღლა წამოიძახა გახარებულმა გოგონამ, რადგან უკვე შვიდი თითი ჰქონდა დათვლილი.

მზის შვიდი სხივი საკმარისი აღმოჩნდა ტყის გასანათებლად. სინათლეში დიდი მუხა სულაც არ ჩანდა საშიში.

ახლა კეთილი საქმე იყო საჭირო! ბოროტმა იკითხოს, თორემ, რა უნდა მის მოფიქრებას კეთილი ადამიანისთვის. მიმოიხედა პატარა გოგონამ და მზის მომლოდინე ტყეში მიწაზე მიმოფანტული სამყაროსთვის საშიში პოლიეთილენის პარკები და ბოთლები დაინახა... ისინი ბოროტ ჯადოქარს არ დაუყრია, მაგრამ ზოგჯერ ადამიანებიც მას ვემსგავსებით, როცა ბუნებისადმი მადლიერებას ვივიწყებთ.

ნუცა დაფაცურდა, ყველა პარკი და ბოთლი დიდი მუხის ქვეშ მოაგროვა და ტყეში დაკარგული მზეც დააბრუნა...

– ხვალ მეგობრებთან ერთად დავბრუნდები და ყველანი ერთად წავიღებთ ამ ყველაფერს... – უთხრა კეთილმა და მამაცმა გოგონამ სიხარულის ცრემლით დანამულ მუხას.

– მადლობა, ნუცა! ვიცი, რომ დაბრუნდები! მუდამ სინათლის და სიკეთის გზით გველოს!!

დიდი მუხის დალოცვამ გოგონას გაასწრო ტყიდან და დაბრუნებული მზე ყვავილად მიაგება გზაზე.



## ხსირკედელო



დარწმუნებული ვარ, შინ ნამდვილად მოგეპოვება ნივთი, რომლის დამზადებაც ახლა მინდა გასწავლო. ის უძველესი ნივთია. ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე ხმარობდნენ ჩინეთში, მერე იაპონიაში, ეგვიპტეში, ინდოეთში... ბოლოს, მე-17 საუკუნეში ევროპაშიც შეიტანეს, ბერებმა და ვაჭრებმა. უჰ, კიდევ კარგი! თორემ დამინახავდი სადმე, კონდიციონერით ან ვენტილატორით მოსეირნეს. მე ხომ მარაოს გარეშე არსად დავდივარ. ის კი არა, ჩანთაში რამდენიმე მარაო მიდევს. ერთი რომ დამეკარგოს, მეორე ხომ უნდა მქონდეს?! და მეორე რომ დამეკარგოს?! მესამეც საჭიროა! და ეს მესამეც თუ დამრჩა სადმე?! არა უშავს, აი, მეოთხეც მაქვს... ახლა კიდევ ერთს შენთან ერთად დავამზადებ და უფრო მშვიდად ვიქნები.

დაგჭირდება:

თეთრი (ან ფერადი) ფურცლები, „ესკიმოს“ ჯოხი (ოღონდ ჯოხი კარგად გარეცხე მანამდე) ნებო, მაკრატელი, ფერადი ფანქრები.



1.



2.

2. გადაკეცე ფურცელი შუაზე, შემდეგ შემოატრიალე და ისევ შუაზე გადაკეცე, ფურცელზე ჯვრისებური ნაკეცები გაჩნდება.



3.

3. დაჭერი ფურცელი გადაკეცვის ადგილებში. მიიღებ ოთხ მართკუთხედს. მე ოთხი სხვადასხვა ფერის ფურცელი გამოვიყენე. შენ შეგიძლია ერთი ფერის ფურცელი გამოიყენო.



4.



4.a



4.b

4. 4ა. 4ბ. აიღე ერთი მართკუთხედი და გაკეცე შუაზე. ახლა შუა ხაზამდე გადაკეცე ორივე მხარე და კიდევ გადაკეცე. გაშალე ფურცელი და ჩაასწორე ნაკეცები მარაოსებურად.



5. 5ა. ასე გაამზადე დარჩენილი სამი მარტ-კუთხედიც. გადავკეცოთ თითოეული შუაზე.



6. ნაკეცის შიდა მხარეები შეაწებე. ახლა მიღებული მინიმარაოები დააწებე ერთმანეთს, ისე, რომ მთლიანობაში დარჩეს ერთი ღია მხარე.



7. აი ახლა კი „ესკიმოს“ ჩხირი გჭირდება. წაუსვი მარაოს ღიად დარჩენილ ორივე მხარეს და „ესკიმოს“ ჩხირი ჩააწებე.



8. დახატე მუყაოზე შენთვის სასურველი პერსონაჟი, გამოჭერი ისე, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები და დააწებე უკვე მზა მარაოს. ამასობაში, მე ორი მარაო შემომემზადა:

ერთი - ჯამბაზი ალექსანდრე-ჰოპია არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავლიდან“, მეორე - ბალერინა „ჰანს ქრისტიან ანდერსენის „კალის ჯარისკაციდან“.

შენც შეგიძლია, საყვარელი ზღაპრის პერსონაჟი აქციო მარაოდ.

ჰო, კიდევ შეგიძლია ბებიკო-მარაო, დედიკო-მარაო ან მეგობარ-მარაოებიც დაამზადო და მათ აჩუქო. დარწმუნებული ვარ, გაეხარდებათ.

ცხელ დღეებში ეს ქალაქის მარაოები კარგად აგრილებს. უკვე გამოვცადა.





ვასო გულგუური

სახეშეკო ბუკონარია

# გასპაჩო

აბა, გამოტყდი, რომელი თქვენგანს გიყვარს სუბები?  
არა, ხომ? არადა, რომ იცოდეთ, რა სასარგებლოა სუბის  
მაგრამ ღღეს ზვენ ზვეულებრივ სუბს კი არა, არაზვეულებრივს  
მოგამზადებთ. დაწმუნებული ვარ, ეს უველას მოგეწონებათ.



პომიდორი ხომ გიყვართ? მე ჯერ არ შემხვედრია ბავშვი, რომელსაც პომიდორი არ უყვარს. მაგრამ ის თუ იცით, საიდან შემოვიდა პომიდორი ან ეს სახელი რას ნიშნავს? პომიდორი სამხრეთ ამერიკიდან გავრცელდა მსოფლიოში. მის სამშობლოში აცტეკები მას ტომატს უწოდებდნენ. უფრო გავრცელებული სახელი – პომიდორი კი ევროპაში გავრცელების შემდეგ, იტალიურიდან შემოვიდა – პომო დ'ორო – და „ოქროს ვაშლს“ ნიშნავს.

მართლაც, ჰგავს პომიდორი ოქროს ვაშლს, არა? და ის თუ იცით, რომ პომიდორი, რომელიც ხშირად ბოსტნეული ჰგონიათ, სინამდვილეში... ხილია. დიახ, დიახ – ბოტანიკაში პომიდორი ხილს მიეკუთვნება. პომიდვრისგან მურაბასაც ამზადებენ. ხოლო ესპანეთში ყოველწლიურად, აგვისტოში, ვალენსიის ავტონომიური გაერთიანების ქალაქ ბუნიოლში ტარდება ერთკვირიანი ფესტივალი „ტომატინა“ (La Tomatina).

ფესტივალის მიმდინარეობისას იმართება ბაზრობა, კონცერტები, სხვადასხვა სანახაობა, მაგრამ მთავარი მაინც პომიდვრებით ბრძოლაა, რომელითაც ფესტივალი იხსნება. პომიდვრებით ბრძოლა დილის 10 საათზე იწყება და მხოლოდ ერთი საათი გრძელდება. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე პომიდვრით დატვირთული სატვირთო მანქანები შემოდის. საგანგებო ნიშანზე იწყება ბრძოლა – ადამიანები ერთმანეთს უშენენ პომიდვრებს. რა სასაცილო იქნება, პომიდვრით მოთხუპნული ადამიანები. შეიძლება, როდისმე შენც მოხვდე სწორედ ამ დღესასწაულზე და ძალიან იხალისო.







## ზ ე ც ე ჯ ტ ი

ახლა კი დაპირებული არაჩვეულებრივი წვნიანი – გასპაჩო. მიხვდი ალბათ – ეს წვნიანი პომიდვრისგან მზადდება. მას არც ცეცხლზე დუღილი სჭირდება – პირიქით, რაც უფრო ცივია, უფრო გემრიელია. მომზადებაც არ არის რთული და სცადე. ზაფხულის ცხელ დღეებში ამაზე გემრიელი წვნიანი რა უნდა იყოს.

აბა, დავინყოთ:

3-4 საშუალო ზომის მწიფე პომიდორი გაფცქვენი და დაჭერი. ერთი კიტრი გაფცქვენი, გამოაცალე თესლი. 1 ცალი ბულგარული წითელი წინაკა, 1 თავი ხახვი (უმჯობესია, წითელი), 2-3 კბილი ნიორი. ეს ყველაფერი დაჭერი, ჩაყარე ბლენდერში და მაღალ სიჩქარეზე დაატრიალე 20-30 წამი. შეურიეთ 1/4 ჭიქა ზეთუნის ზეთი, 2 სუფრის კოვზი ბალზა-

მიკოს ძმარი, (თუ არ გაქვს, თეთრი ძმარიც გამოდგება) მარილი, პილპილი და ბაზილიკი (რეჰანი). შედგი მაცივარში 2 საათით მაინც. როგორც უკვე გითხარი, ეს წვნიანი ცივი კერძია და ცხელ ზაფხულში განსაკუთრებით გემრიელია.


აი, სულ ეს იყო.

## სალოათი

ცხელ ზაფხულში გემრიელი სალოათი თუ მოინდობე, გაამზადე – ქორთა კიტრი და რაქლაყა პომიდორი.

მარტივი და გემრიელი, წუთი უნდა ერთი-ორი: სულ ეს არის – ქორთა კიტრი და რაქლაყა პომიდორი.


არ გჭირდება გაიარო ცხრა გორა და ცხრა მინდორი – ზოსტანშია ქორთა კიტრი და რაქლაყა პომიდორი.



# ზ ი ც ხ ე ე ბ ი


**ერთი**

გზაზე მიდის ერთი კაცი  
ერთი პალტო აცვია,  
ერთი ჩანთა უკავია,  
შიგ ლეკვი ჰყავს, პანია.  
ლეკვიც არის ერთი,  
არ იღლება ყეფით.




**ოთხი**

გზაზე მიდის ორი ცხენი.  
ერთი თეთრი, ერთი შავი.  
თეთრმა ჭამა ბევრი შვრია.  
შავმა ჭამა ცოტა ჭვავი.  
უკან მოსდევთ ორი კვიცი,  
ერთი - დინჯი, ერთი - მკვირცხლი.




**სამი**

ტყეში დედა კურდღელს ჰყავს  
სამი თეთრი ბაჭია  
სამივეა ლამაზი,  
სამივეა პანია.  
მათი ტკბილი საუზმე  
ტყის ხილი და მარწყვია.




**ოთხი**

დათვი დადის ოთხი თათით.  
უყვარს კენკრა, უყვარს თაფლი.  
ოთხი თათით დადის ძაღლიც,  
აქვს თავისი ჯამიც, სახლიც,  
ოთხი ფეხით დადის ცხენიც.  
აჩუ, ცხენო, გასნი, ჰერიიი!




**ხუთი**

ტყეში ხეა, ხეზე ბუდე,  
შიგ ჩიტს ხუთი კვერცი უღევს,  
იქნებ ოთხი? იქნებ სამი?  
არა! ხუთი! ხუთი ცალი!  
დედა ჩიტიც იქვე არის,  
ელოდება ბარტყებს,  
კვერცხებს თბილ ფრთებს ადებს.



**ექვსი**

ხეზე ერთი ფულუროა,  
შიგ ციყვების ოჯახია!  
მათი ბინა კაკლით, თხილით,  
გირჩით სავსე ოთახია.  
ექვს ციყვს ექვსი კუდი აქვს,  
ექვს თხილს ხრავენ, გულიანს.




## შვიდი

ბაღში ცხოვრობს შვიდი ჩიტი  
 ბაღში ხარობს შვიდი ხე.  
 შვიდი ჩიტი იწყებს სტვენას,  
 და ამოდის ცაზე მზე.




## ჩეა



ეს ეზოა, ეს – ბავშვები,  
 რვა თამაშობს ერთი ბურთით,  
 ოთხი გოგო, ოთხი – ბიჭი,  
 ესეც ჩვენი ორი გუნდი.


## ცხრა



ეს ეზოა, ეს ბავშვები.  
 თამაშობენ კუკუმაღას,  
 ოთხი გოგო, ოთხი ბიჭი  
 რვა ხის უკან დაიმაღა.  
 მეცხრე დაადგა სახლთან.  
 მეცხრე ყვირის: სად ხართ?  
 ასე დარბის ცხრა ბავშვი.  
 ცხრავებს უყვარს თამაში.

## ათი

ათი თითით ბავშვი იცვამს,  
 იბანს, ჭამს და თამაშობს.  
 ძაღლის ლეკვსაც ასეირნებს,  
 აქვე ახლოს, განა შორს?  
 ათი თითით ხატავს, ჭრის,  
 ეხმარება მამას,  
 დაწოლისას ათი თითით  
 დაიფარებს საბანს.  
 გოჭმა ჭამა ჭანჭური,  
 განა ერთი? ათი!  
 ისე ჭამა, ღრუტ, ღრუტ, ღრუტ,  
 არ დაღლილა დათვლით.  
 მოდი, ჩვენ დავითვალოთ:  
 ერთი, ორი, სამი,  
 ოთხი, ხუთი ექვსი შვიდი,  
 რვა, ცხრა, ესეც – ათი!



## სიციინათლა

„ადვილად აცილებს  
 მიკრობებს...“ – თქვეს  
 ჭურჭლის სარეცხი ფხვნილის  
 სატელევიზო რეკლამაში.  
 - მამა, მიკრობები რა  
 არის, რო ეკრობა ხოლმე? –  
 იკითხა ლექსომ.

ლექსომ სოფლის გზაზე,  
 ნაწვიმარზე ტრაქტორის  
 კვალი დაინახა.  
 - მამა, ნახე, მოჭმუჭნული  
 ტალახია, - თქვა ლექსომ.

- ფისოს რა უყვარს? - ეკ-  
 ითხება მამა ლექსოს.  
 - რძე.  
 - ძაღლს?  
 - ჩიჩია.  
 - ლორს?  
 - რკო.  
 - მგელს?  
 - წითელქუდა! - პასუხობს  
 ლექსო.

მაია გელაშვილი



ოქქია - ქქია



ჩემო პატარებო, თქვენ ალბათ იცით, რომ საქართველო სხვადასხვა კუთხისაგან შედგება და რა თქმა უნდა, ყველა კუთხის ბავშვებს ემართებათ ბატონები. ამიტომ არსებობს თითქმის ყველა კუთხის იავნანა: გურული, იმერული, რაჭული, კახური, ქართლური, მეგრული, მოხეური...

ეს სიმღერა რაც შეიძლება ნაზად, მშვიდად და ლამაზად უნდა შესრულდეს. ბატონებს ესიამოვნებათ და მშვიდობიანად დატოვებენ იქაურობას.

ბატონები შვიდნი არიან: წითელა, წითურა, ჩუტყვავილა, ქუნთრუმა, ყივანახველა, ყბაყურა და ყვავილი. ალბათ რომელიმე მათგანი თქვენც გწვევიათ და გემახსოვრებათ, როგორ მზრუნველობდნენ თქვენი მშობლები. ალბათ ის სათამაშოებიც შემოგჩაათ, რომლებიც მაშინ გაჩუქეს...

იავნანას ბავშვებს მაშინ უმღეროდნენ, როცა მათ ინფექციური დაავადება, ანუ როგორც ხალხში ეძახიან, „ბატონები“ შეეყრებოდათ. ეს სიმღერა ბავშვის დასამშვიდებლად, დასაძინებლად და ბატონების „დასასმელად“ იმღერებოდა. ოთახს იისა და ვარდის ფურცლებით მორთავდნენ. სიმღერის დასახელებაშიც ხშირად ახსენებენ იას - „იავ-ნანა“.

„იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,  
აქ ბატონები მობრძანდნენ, იავნანინაო,  
მობრძანდნენ და გაგვახარეს, იავნანინაო,  
ბატონებო მხიარულნო, იავნანინაო,  
თქვენსა გზასა ია-ვარდი, იავნანინაო,  
ჩვენ დაგვიტოვეთ, თქვენ ნაბრძანდით, იავნანინაო,  
იავნანა ვარდო ნანა იავნანინაო.“



# მაჯამურობი

გიორგი წერეთელი



ვჭერთ,  
ვთაღეთ  
და ვწანით  
ხან გოდორი,  
ხან – ძარი...  
ნარჩენები გახმა და  
ტყეში გაჩნდა...




მომღერალი ჩიტი მყავს,  
დღე გალობით გალია,  
გარეთ ხომ არ გავაგდებ,  
გავუკეთე...



ჩვენ გვეგონა  
ბრიალა  
წაიკიდა ტყემ ალი,  
თურმე ალი კი არა,  
მწიფდებოდა...





ეგერ მოჩანს მთა – შიშველი,  
დაუკნტრუშებს მთაში...



რეკს მალვიძარა საათი,  
დარეკა სკოლის ზარმაცო, –  
ბებია მ უთხრა შვილიშვილს:  
– ჩქარა ადექი...

შეასე **კროსვორდი** ცნობილი საბავშვო ჰოეტის, მაყალა მრეწლიშვილის ღექსების მიხედვით. ისე, რომ ნითელ უჯრებში ჰოეტის სახელი და გვარის მიიღო. შეასე გამოტოვებული და მრავალწერტილით აღნიშნული სიტყვები ცნობილ სტრიქონებში.



1. ჭუპა-ჭუპა, ნყალი...
2. შენ მაჩუქე მზე და მთვარე, ...ზედა!
3. გადმოფრინდა რაინდი, დაიყვილა...
4. ჩიტო, ჩიტო, ნაცარავ, ვის უგალობ,...
5. ანაო, ანა-ბანაო, არ მინდა პირის...
6. კოპი, კოპი, ..., რატომ აზით ბელებს კოპი?
7. გაიღვიძებს ენძელა, გაიღვიძებს...
8. მე რომ მიყვარს მოფერება, შენი თეთრი...
9. ქისა, ქისა, ...
10. ყვინჩილამ თქვა: ვსინჯავდი, ფერად-ფერად...
11. ეს სანყალი კურდღელი ძლიერ ავადა...
12. კიკლი, ...კიბესა.
13. ძაღლი – ცუგო, ... – კატა, მთელი ეზო დაიხატა.
14. ამ უწყინარ ცხოველს, ...ნუკრივით ლამაზს.

8. ბაკიბუკი, ბეკეკა, ბაციბუცი...
9. თითქოს სახლი დადისო, ... ისე დიდია.
10. ... დგანან ყანჩები, ანონილი კანჭებით
11. ნემსი, ძაფი, ... მაკრატელო, გაჭერ!



# აღწიხ იხტეჩვიე მწეჩად ჩაქმ ღაპიოაქვიღიღაჩ



- რომელი იყო ნიგნი, რომელიც პირველად წაიკითხეთ დამოუკიდებლად?  
– კითხვა სკოლაში მისვლამდე დავიწყე. ახლაც მახსოვს, მტკაველის ტოლი ზღაპრების პატარა ნიგნების შეკვრა. ზღაპრების ნიგნები იყო ჩემი პირველი ნიგნები, რომლებიც დამოუკიდებლად წავიკითხე.
- თქვენი საყვარელი სამი საბავშვო მწერალი.  
არჩილ სულაკაური, ასტრიდ ლინდგრენი, მაინ რიდი.
- თქვენი საყვარელი სამი საბავშვო ნიგნი.  
– არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავალი“ – ჯადოსნური ნიგნი სიკეთეზე, მეგობრობაზე; რობერტ ლუი სტივენსონის „შავი ისარი“ – ამბავი მამაც და კეთილშობილ დიკ შელტონზე; მსოფლიო ზღაპრების ნებისმიერი ნიგნი – ამ გამოცემებს ბავშვობაში ვაგროვებდი კიდეც.
- როდის დაწერეთ თქვენი პირველი საბავშვო ნიგნი და რომელია ის?  
– პირველ საბავშვო ნიგნს სანამ დაწერდი, უფრო ზუსტად სანამ ფურცელზე გადავიტანდი, ბავშვებს ვუყვებოდი ხოლმე. ასე დაიბადა პატარა დინოზავრი დინდინელა და მისი მეგობარი ნია. ნიგნად 1993 წელს გამოვეცი. სხვათა შორის, ამ ნიგნში შეტანილი მაქვს ერთი პატარა ლექსი, რომელიც ხუთი წლის ასაკში თავად მოვიფიქრე.
- თქვენი წაწარმოებებიდან რომელია ყველაზე საყვარელი?  
– ყველაზე საყვარელი ის ნიგნია, რომელიც ჩემს შვილს დავუწერე „ამბავი ლილე იროელისა“. ერთი სული მქონდა, წაეკითხა.
- როგორ იგონებთ პერსონაჟებს?  
– ჯერ ვიგონებ ამბავს, მერე წარმოვიდგენ, ეს ამბავი სად შეიძლება რომ ხდებოდეს, ბოლოს ამ ამბავს გმირებს მოვარგებ ხოლმე.
- სულ რამდენი საბავშვო ნიგნი გაქვთ დაწერილი?  
– ალბათ გაგიგიათ ფენტეზი. ამ ჟანრშია დაწერილი „წარნიას ქრონიკები“. მეც ფენტეზის ჟანრში ვწერ. „იროელთა ქრონიკებიც“, რომლის 6 ნიგნი უკვე გამოცემულია ამ ჟანრშია დაწერილი. ფენტეზის კი ყველა კითხულობს – დიდებიც და პატარებიც.
- ახალ ნიგნზე თუ მუშაობთ?  
– ახლა ვმუშაობ „იროელთა ქრონიკების“ ბოლო ნიგნზე.
- თქვენი ზღაპრების გმირებიდან რომელია ყველაზე კეთილი?  
– ლილე იროელი – ბიჭი, რომელიც თავის სახელივით (ლილე მზეს ნიშნავს) სიკეთეს სინათლესავით გამოსცემს.
- რის წაკითხვას გვირჩევთ პატარებს?  
მოდი, ჩემი საყვარელი ნიგნები წაიკითხეთ.

მთავარი შოკოლიტელი: ირმა მალაცაძე

შოკოლიტმცოდნე: მარიამ ნიკლაური

დანარჩენი შოკოლიტელები: ლელა ცუცქერიძე, ვასილ გულეური, რობერტ მესხი, დიანა ანფიმიადი, გივი ჩილვინაძე, ნინო სადღობელაშვილი

შოკ-ღიზაინერი: ნიკა ხვედელიძე



ISSN 2587-4888

ჟურნალი გამოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და „სსიპ ქართული ლიტერატურის ეროვნული ფონდი“ მხარდაჭერით

საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი „ლიბო“  
ელ-ფოსტა: [jurnali.Shokoliti@gmail.com](mailto:jurnali.Shokoliti@gmail.com)



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო



ქართული ლიტერატურის ეროვნული ფონდი



# წიგნის ჭია-ჭანა

## ახალი წიგნები



ნოდარ დუმბაძის საბავშვო ლექსების განახლებული გამოცემა, ნინო ჩაკვეტაძის ილუსტრაციებით.

*(ნოდარ დუმბაძის სახელობის გამომცემლობა)*

საბავშვო ბაღში, სახლში, თამაშის დროს თუ ძილის წინ წიგნებთან ერთად გატარებული დრო ბავშვებისათვის ყველაზე ძვირფასია. სწორედ ამიტომ სულაკაურის გამომცემლობა გათავაზობთ ასაკისთვის შესაფერის, თანამედროვე, ფერადი ილუსტრაციებით გაფორმებულ სერიას, რომელიც ადრეული ასაკიდან შეაყვარებს პატარებს წიგნებთან ურთიერთობას.

*(„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“)*



„ზოგჯერ სახლიდან ვერ გავდივართ: როცა კოკისპირულად წვიმს, ქარიშხალი მძვინვარებს, თავს შეუძლოდ ვგრძნობთ ან... რას ვაკეთებთ ამ დროს? შეგიმჩნევიათ, რომ ჩვენს ვიწრო სახლებს ხანდახან მთელი სამეფოს დატევა შეუძლიათ, ხოლო მშობლების და შვილების ურთიერთობები სატახტოთა თამაშებს არ უდებენ ტოლს? წიგნი თავის სამეფოში გამოკეტილი, პატარა ბიჭის ამბავს გვიყვება, რომელსაც სახლში ჯდომა არ აშინებს და უამრავ გასართობს და თავშესაქცევს გამოიგონებს.“

*(გამომცემლობა „ზოლიანი კატა“)*

ამ წიგნში 30 ყოჩალი გოგოს ამბავი გიამბეთ, რომლებმაც თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით საქართველოს ისტორიაში კვალი დატოვეს. რა თქმა უნდა, წარსულში ბევრად მეტი ყოჩალი გოგო ცხოვრობდა, მაგრამ მათი სახელები აღარ შემოგვრჩა. შენ შეგიძლია, საკუთარი „ყოჩალი გოგო“ ამოირჩიო და მის ამბავს მოჰყვე. ეს შეიძლება იყოს ცნობილი თუ უცნობი ქალი, შენი წინაპარიც და თანამედროვეც. აბა, გაიხედ-გამოიხედ და დაფიქრდი, შენს გარშემო რამდენი ყოჩალი გოგო ცხოვრობს! ჩვენ კი შენს მოყოლილ ამბებს დაველოდებით.

*(გამომცემლობა „ზოლიანი კატა“)*



ISSN 2587-4888  
9 772587 488007